

*ელენე გოგიაშვილი*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

## ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

ზეპირ თხრობით ტრადიციას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურული წყარო აქვს: ანტიკური თხზულებები (ფლავიუს არიანე, კალისტენე, პლუტარქე, კვინტუს კურციუს რუფუსი, დიოდოროს სიცილიელი) და შუა საუკუნეების ევროპული და აღმოსავლური რომანები (ფსევდოკალისტენე, ფირდოუსი, ნიზამი, ამირ ხოსროვი, ჯამი, ალიშერ ნავი და სხვ.).

IV-XVI საუკუნეებში ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ლეგენდათა მთელი ციკლი დამუშავდა, რომელიც ფსევდოკალისტენეს ალექსანდრეს რომანისა და მისი მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან იღებს სათავეს.<sup>1</sup> ეს ნაწარმოები არ არის ისტორიული სიზუსტით ან მაღალმხატვრულობით გამორჩეული, მაგრამ ხალხურ ტრადიციაში მისი გავრცელებისთვის არც ისტორიული ამოცანები იყო მთავარი და არც მხატვრული დონე. მკითხველი და მსმენელი თავად ლეგენდარული მეფის პიროვნებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე სინამდვილეში მომხდარი ფაქტებით. ალექსანდრეს შესახებ გადმოცემებს ვხვდებით იმ ქვეყნებშიც, სადაც ალექსანდრე მაკედონელს ფეხი არ დაუდგამს. ევროპის შორეული ჩრდილოეთიდან მოყოლებული შუა აზიაში მონღოლურის გავლით მალაიზიასა და სხვა აზიურ ენებზეც კი შეიქმნა ალექსანდრე მაკედონელზე თქმულებები და ლიტერატურული თხზულებები.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ევროპაში ალექსანდრეს რომანი იულიუს ვალერიუსის ლათინური თარგმანის (III-IV სს.) საფუძველზე გავრცელდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ თხზულების პირველ თარგმანს საფუძველად ბერძნული დედანი დაედო. ეს ნაწარმოები ითარგმნა ფალაურ, სირიულ, კობტურ, ეთიოპიურ, სომხურ ენებზე. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ალექსანდრეს რომანი ქართველმა მეფემ და პოეტმა არჩილმა (1647-1713). იხ. R. Mirianashvili (ed.). Aleksandriani. Tbilisi. 1980, p. 4-5 (რ. მირიანაშვილი (რედ.). ალექსანდრიანი. თბ. 1980, გვ. 4-5.

<sup>2</sup> S. Gero. The Legend of Alexander the Great in the Christian Orient. Bulletin of the John Rylands Library N75(1). 1993, p. 3-9.

ალექსანდრეს მიმართ ინტერესი სარაინდო იდეალებსაც უკავშირდება. სავარაუდოდ, ევროპელი მენესტრელები ჯვაროსნულ ლაშქრობებში სხვადასხვა აღმოსავლურ ფოლკლორულ გადმოცემას უნდა გაცნობოდნენ ალექსანდრეზე. ამ გადმოცემების გავლენა აშკარად იგრძნობა შუასაუკუნეების ევროპულ თხზულებებზე, ისტორიულ თქმულებებზე, ლეგენდებზე, ზღაპრებზე, რომანტიკულ ისტორიებზე და ანეკდოტებზეც.<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მოთხრობები ალექსანდრეს ლაშქრობების შესახებ მთლიანად ისტორიზმს ექვემდებარება და მორალურ-რელიგიური თვალსაზრისისაც არის შეფასებული, შემდგომ ეპოქებში კი თხრობა უფრო სათავადასავლო ხასიათს იღებს და ბოლოს ხალხურ წიგნებში (folk literature) გადადის.<sup>4</sup>

კავკასიურ ფოლკლორში ალექსანდრე მაკედონელის ფიგურა მხოლოდ ნოველისტურ ზღაპრებში ჩნდება. ამ მიზეზის ახსნა თხრობითი ჟანრების სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ.

ფოლკლორის თხრობითი ჟანრებიდან ნოველისტური ზღაპარი პერსონაჟების ასახვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ნოველისტური ზღაპარი ისეთივე მკაცრ ეპიკურ კანონებშია მოქცეული, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, მისი პერსონაჟები ლიტერატურული გმირების მსგავსად სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გვევლინებიან. სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებელში ჯადოსნური ზღაპრების მხოლოდ 450 ტიპი არსებობს, ნოველისტური ზღაპრებისა და ანეკდოტების ტიპები კი 1000-ზე მეტი.<sup>5</sup> თუ ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირების უმრავლესობა ერთმანეთს ჰკავს, ნოველისტური ზღაპრისა და ანეკდოტების პერსონაჟები სხვადასხვა ხასიათითა და მორალით გამოირჩევიან. მაშინ, როცა ხალხურ ჯადოსნურ ზღაპარში სრულიად გამორიცხულია გმირის ინდივიდუალობის ასახვა, ნოველისტური ზღაპარი მოქმელს მეტი იმპროვიზაციის შესაძლებლობას აძლევს.

<sup>3</sup> I.Tomkowiak. Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Hainz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München. 2001, p. 155-168.

<sup>4</sup> E. Kostjukhin. Aleksandr makedonski v literaturnoj i folklornoj traditcii. Moskva. 1972, p. 42. (E. Костюхин, Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва. 1972, стр. 42).

<sup>5</sup> H.J. Uther. The Types of International Folktales: A Classification and Bibliography Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. I. Helsinki. 2004.

ელენე გოგიაშვილი. ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა?  
ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

ნოველისტური ზღაპრების ტიპებში ლიტერატურული გავლენა ადვილი შესამჩნევია. ალექსანდრე მაკედონელის ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟად ქცევას სწორედ ლიტერატურული ტრადიცია განაპირობებს. ასევე ხდება სხვა ლიტერატურული მოტივების ფოლკლორში გადასვლის შემთხვევაშიც. ფოლკლორული პერსონაჟი იმავე თვისებებს ამჟღავნებს, რასაც მისი ლიტერატურული პროტოტიპი.

კავკასიური ხალხური ნოველები ალექსანდრე მაკედონელზე ფიქსირებულია XIX საუკუნიდან. „კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერის მასალათა კრებულში“ (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа), 1890 წლის №10 გამოშვების III განყოფილებაში დაბეჭდილია ქართლში ჩაწერილი ორი ტექსტი.

ერთი ჩანაწერი გადმოგვცემს გაქვავებული ქალაქის ამბავს, რომლის შესახებაც ალექსანდრე მაკედონელმა სოლომონ ბრძენისგან შეიტყო.

ალექსანდრე ჯარით შევიდა ამ ქალაქში და გაქვავებული მეფე-დელოფალი ნახა. დელოფალს თითებში წერილი ჰქონდა: „ყველაფერი წაიღონ, მხოლოდ გვირგვინი ღვთისაო“. ალექსანდრემ ხელი არ ახლო გვირგვინს. შემდეგ ხმელეთის მპყრობელმა ალექსანდრემ ზღვის დამორჩილებაც მოინდომა. ზღვაში ჩალა ჩაყარა, ცეცხლი წაუკიდა და ასე დაიმორჩილა. ზღვის პატრონმა ალექსანდრეს სამი მარცვალი მისცა: ერთს თუ შეჭამდა, გაახალგაზრდავდებოდა, მეორეს შეჭამდა – ბრძენი გახდებოდა, მესამეს კი შეეძლო ექიმად ექცია. ალექსანდრემ ხაბაზს უბრძანა ამ მარცვლებით პური გამოეცხო. საუბედუროდ ხაბაზს, რომელმაც არ იცოდა მარცვლების მაგიური ძალის შესახებ, გამოეცხვარი პურები ნაცარში ჩაუკვივდა, მეფეს აღარ გაუგზავნა და მათხოვარს მისცა. ალექსანდრემ სხვა პური შეჭამა და ჯადოსნურმა ძალამ რომ არ იმოქმედა, ხაბაზი დაიბარა. ხაბაზის მეშვეობით ალექსანდრემ გაახალგაზრდავებული და დაბრძენებული მათხოვარი მოძებნა და სასახლის ექიმად დააყენა. მან სიკვდილის დღეც კი უწინასწარმეტყველა ალექსანდრეს. მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ხალხმა ეს ბრძენი აიყვანა ტახტზე (ჩაწერილია გორის მაზრის სოფელ ქიწინისში სოლომონ გულიშვილისგან, ჩამწერი გორის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფე პავლე პრიხნია).<sup>6</sup>

იმავე კრებულში დაბეჭდილი მეორე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელზე მოგვითხრობს, თუ როგორ დაიმორჩილა უძლეველმა მეფემ სამყაროს სამი ნაწილი. როცა მეოთხე ნაწილის დაპრობაც მოინდომა, რომელშიც ღარი-

<sup>6</sup> СМОМПК 1890, №10, III, გვ. 37-44.

ბები ცხოვრობდნენ, მოფრინდა ანგელოზი და ურჩია: „ამ ქვეყანას ხელს ნუ ახლებთ, თორემ თავები წაგეცლებათ“. ალექსანდრემ არ დაუჯერა. ამის გამო მის ჯარისკაცებსა და პირად ამალას უჩინარმა ძალამ თავები წააცალა, ღარიბთა ქვეყნის მკვიდრებმა კი მოწაფის, ვინმე სურკოვის მიერ).<sup>7</sup>

1895 წელს სულხან ბარათაშვილს „საქართველოს ისტორიაში“ დამოწმებული აქვს ხალხური გადმოცემა, რომელშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობა. ისტორიკოსი ლევენდას ხალხურად მიიჩნევს, მაგრამ ისტორიულ ღირებულებასაც ანიჭებს მას: „ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ ბერძნების მხარეში, სახელდობრ მაკედონიაში, გამოჩნდა ალექსანდრე, ფილიპეს შვილი, რომელმაც დაიპყრა ყველა ქვეყანა. იმან დაპყრობა დასავლეთიდან დაიწყო, გადალახა სამხრეთი, შემდეგ ჩრდილოეთი და იქიდან კავკასიის მთებით საქართველოში შევიდაო. ალექსანდრემ ამ ქვეყანაში ურწმუნობა და უზნეობა ჰპოვა, მაგრამ ნახა, რომ იქ მეომარი ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც მაგარი ქალაქები ჰქონდა. იმან ყველა ეს ქალაქები აიღო და შიგ თავისი ჯარები ჩააყენა ერთის მაკედონელის სარდლის, აზონ პატრიკის ხელქვეშ, რომელსაც უბრძანა, გაეგრცვლებია ხალხში მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა“.<sup>8</sup>

ალექსანდრე მაკედონელის პერსონაჟი ქართულ ხალხურ ნოველაში თავნება და ხარბია. 1930-იან წლებში ჩაწერილ ერთ ქართულ ნოველისტურ ზღაპარში აღწერილია, თუ როგორ ემორჩილებოდა ალექსანდრეს მთელი ქვეყანა: დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. მაგრამ მისი გული მაინც არ დაკმაყოფილდა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა, ცაზე კიბე მიედგა და მიწა გაეთხარა, რათა მთელი სამყაროს ბრძანებელი გამხდარიყო. ცაზე ასვლა ვერ შეძლო, მაგრამ მიწისქვეშა ქვეყნების დაპყრობის სურვილი კვლავ არ ასვენებდა. მეფემ ისიც იცოდა, რომ მის ამ გადაწყვეტილებას მოხუცებულები შეეწინააღმდეგებოდნენ და ბრძანება გასცა, ახალგაზრდებს თავები მოეკვეთათ თავიანთი მამებისთვის და სამუშაოდ გამოცხადებულიყვნენ. ამასთან, დაეფიცებინათ: „მამაჩემი მიწის ზემოთ არ დამიტოვებიაო“. ერთმა მოხუცებულმა კაცმა შვილს უთხრა: „ჩემი სიმაღლე მიწა მოთხარე, ჩამაგდე შიგ და დაიფიცე, რომე მამაჩემი მიწის ზემოთ არ დამიტოვებია თქო და შენ რომ წახვალ, მეც იქ მოვალ. იმ სულელ

<sup>7</sup> CMOMIK 1890, №10, III, გვ. 44.

<sup>8</sup> G. Akhvlediani. Folklori XIX saukunis kartvel istorikosta našromebsi. Kartuli Folklori. VII. Tbilisi. 1977, p. 141. (ვ. ახვლედიანი. ფოლკლორი XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთან ნაშრომებში. ქართული ფოლკლორი. VII. თბ. 1977, გვ. 141).

მეფეს ვირი უფრო ჭკვიანი ჰყავს, ვიდრე თვითონ არის. სამუშაოზე საჭმელი ვირით წაიღე და მიწის თხრას რომ დაიწყებთ, მისი ჩოჩორი მაღლა დატოვებ დაბძული. ვირი კი, სადაც მუშაობთ, იქ გააჩერე. როცა მიწას ამოთხრით და იქიდან სიმყრალის სუნი ამოვა, ვირს სუნი შეაწუხებს და გაიქცევა. შენ წაატანე კულზე ხელი და ამოგიყვანს. თუ გინდა, შენი სულელი მეფეც ამოიყვანე“.

ბიჭი ისე მოიქცა, როგორც მოხუცმა მამამ დაარია. როცა მიწიდან სიმყრალის სუნი ამოვიდა, ვირი ზემოთ ამოხტა და ბიჭიც და მეფეც თან ამოიყოლა. დანარჩენები მიწაში დარჩნენ და დაილუპნენ. მხოლოდ მამა-შვილი და მეფე გადარჩა. მეფემ რომ გაიგო, ბიჭი მამის დარიგებული იყო, უთხრა: ასეთი ჭკვიანი მამა თუ გყავდა, რატომ მოკვებოდა თავიო. ბიჭმა გადარჩენილი მამა მიუყვანა. მეფემ მოხუცს მაღლობის ნიშნად ნახევარი სახელმწიფო შესთავაზა. მოხუცებული გაბრაზდა და უპასუხა: „შენ სად გაქვს სახელმწიფო? თუ მკვდრების ქვეყანას მადღე, რად მინდა? სანამდე ხალხი დაიხოცებოდა, მანამდე რატომ არ მომეციო?“

მაშინ მეფემ ფული შესთავაზა. მოხუცმა ჯიბიდან კაცის გამხმარი გული ამოიღო, მიწაზე დადო და უთხრა: „ბევრს არაფერს გოთხოვ, ეს გული რომ დაფაროს, იმდენი ფული მომეცი“.

მეფემ ფული დააყარა გულს, მაგრამ გული ზემოთ ამოხტა. კიდევ დააყარა ფული, მაგრამ გული ისევ ზემოთ ხტებოდა. მთელი ხაზინა მოატანინა, მაგრამ გული მაინც ვერ დაფარა.

მოხუცმა გაიცინა და თქვა: „ხომ ხედავ, ეს კაცის გამხმარი გულია, ამას ერთი მუჭა მიწა დაფარავს, მეტი არაფერი. შენ რომ მთელი ქვეყანა გქონდა, ქვეყანელში რაღა გინდოდა, რომ მიწას თხრიდი?“ მოხუცმა გულს მიწა დააყარა და მაშინვე დაიფარა. ასეა ადამიანი – მისი გული ვერაფრით დაკმაყოფილდება, მაგრამ ერთი მუჭა მიწა ყველაფერს დაავიწყებს.<sup>9</sup>

ალექსანდრე მაკედონელი უარყოფითი თვისებებით არის წარმოდგენილი სხვა ნოველისტურ ზღაპარში (1960-იან წლებში ჩაწერილი ტექსტი, ID 15024). „მაკედონელის ზღაპარში“ მოთხრობილია სხვა ისტორია ალექსანდრეზე, მაგრამ იგივე მორალური სახით – ძლიერი, მაგრამ გაუმაძღარი მეფე:

მაკედონელი იყო სასტიკი მებრძოლი იყო. ერთხელ ბრძენს უთხრა, რომ ომი სურდა. ბრძენმა უპასუხა, რომ ერთი სახელმწიფო არსებობდა, სადაც ვერავინ შევიდოდა. მარტო მაშინ შეაღწევდა ვინმე, კლდეს თუ გაჭრი-

---

<sup>9</sup> A. Glonti. Guruli folklori. Tbilisi. 1937, p. 203-204 (ა. ლლონტი. გურული ფოლკლორი. თბ. 1937, გვ. 203-204).

და, რადგან ეს სახელმწიფო გაქვავებული იყო. მაკედონელმა დაუწყო ჭრა კლდეს. ათი წელიწადი ჭრა, ბოლოს გაჭრა და შევიდა. ჭიშკარში ება ცხენი, გაქვავებული. ზედ ეწერა ჭიშკარს: მარჯვნივ შემოატრიალებ ცხენს – გაიღება, მარცხნივ – დაიკეტება. შევიდენ ქალაქში და დაიწყეს სიმდიდრის გამოზიდვა. ხელმწიფის სასახლეში ეწერა: „ყველაფერი წაიღეთ, ოღონდ ხელმწიფის გვირგვინს ნუ ახლებთ ხელსო“. ვეღარ გაძღა მაინც მაკედონელი და წაატანა დედოფლის გვირგვინს ხელი. ხელმწიფის უკან ხმლიანი კაცი იდგა, დედოფლის უკან კი კომბლიანი კაცი. როგორც კი წაატანა ხელი გვირგვინს, მაკედონელს კომბალი მოხვდა, დაეცა და ცოცხალ-მკვდარი ძლივს მოაბრუნეს.

როცა მაკედონელმა სიმდიდრე შინ წამოიღო, კიდეც უთხრა ბრძენს, ომი მინდაო. ვერ ძლებოდა ამდენი სიმდიდრით. ბრძენმა ურჩია, ზღვა დაეპყრო. მაკედონელმა გადაასხა ზღვას ნავთი და წაუკიდა ცეცხლი. შემოუთვალა ზღვის ხელმწიფემ: „რა გინდა ჩვენგან, წაიღე საჩუქარი, ოღონდ უპაეროდ ნუ დაგვბოცავო. ერთ რამეს გაჩუქებ და მოგვეშვიო“. გამოუგზავნა პურის ფქვილი. ეს ფქვილი გაახალგაზრდავების წამალი იყო. მაგრამ მეპურემ პური კარგად ვერ გამოაცხო, თონეში ჩაუცვივდა, ამიტომ ადგა და მეფეს სხვა პური მიართვა. მაკედონელმა შეჭამა, მაგრამ ვერ გაახალგაზრდავდა. დაიბარა მეპურე და უბრძანა სიმართლე ეთქვა. მეპურემ აღიარა: „ის პურები ვერ გავაჩერე თონეზე, ჩაუცვივდა და ჩემი პური მოგართვით. ის პურები კი მათხოვარმა ჩამოიარა და მივეციო“.

როცა მაკედონელი ავად გახდა, ბრძენს ჰკითხა, როდის მოგვედებიო? ბრძენმა უპასუხა: „შენ მაშინ მოკვდები, როცა მიწა რკინად იქცევა და ცა სპილენძად“. მაკედონელმა მოითხოვა ბაღში ჩასვლა. იქ ჰქონდა გაკეთებული მიწა რკინად და ცა სპილენძისა. დაინახა და ეგონა, მართლა მიწა რკინად გადაქცეულა და ცა სპილენძად და მოკვდა.<sup>10</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი როგორც ფოლკლორული პერსონაჟი ნაკლებად მომხიბვლელია, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელი როგორც ლიტერატურული გმირი.<sup>11</sup> ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟი ძალიან დაშორებული

<sup>10</sup> Georgian Folklore Database. Fundamentals of an Electronic Documentation of Caucasian Languages and Cultures ‘Armazi’. Rustaveli Institute of Georgian Literature Folklore Archive. Accessed 21 September 2006. <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/folkarch/query.htm#inpform>.

<sup>11</sup> Kostjukhin, E.A. Aleksandr makedonski v literaturnoj i folklornoj traditcii. Moskva. 1972, p. 150 (Костюхин, Е.А. Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва. 1972, с. 150).

ლია შუასაუკუნეების რაინდობის იდეალს. არის იშვიათი შემთხვევები, როცა ალექსანდრე მაკედონელი ჯადოსნური ზღაპრის გმირია. ჩრდილოკავკასიურ, კერძოდ, ოსურ ფოლკლორში გვხვდება ერთი ჯადოსნური ზღაპარი ალექსანდრე მაკედონელზე. ტექსტი სტრუქტურულად ჯადოსნური ზღაპრის სქემაზეა აგებული, მოტივებში საგრძნობია ლეგენდების გავლენა, ფინალი კი სხვა ნოველისტური ზღაპრების მსგავსია.

შორეულ წარსულში ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე ალექსანდრე მაკედონელი (ოს. ალექსან მაჭიდონი). მას ერთი გიჟი კვიცი ჰყავდა, რომლის გახედვნასაც ვერავინ ბედავდა მის გახედვას. ხელმწიფემ საუკეთესო ცხენოსნები დაიბარა, მაგრამ ვერავინ მოახერხა კვიცის დამორჩილება. ბოლოს ალექსანდრემ გადაწყვიტა, თვითონ გაეხედნა თავისი ცხენი. დიდი ბრძოლის შემდეგ ცხენი ადამიანის ენით დაელაპარაკა: „ვარგებულხარ მხედრად და მეც გამოგადგები მერნად. ახლა კი სამი დღით გამიშვი იალალზე თავისუფლად. მერე როცა ჩემი თავი დაგჭირდეს, კვესი ჩამოჰკარი და აბედს მოუკიდე. სადაც არ უნდა ვიყო, აბედის სუნი მეცემა და შენთან გაეჩნდები“. წავიდა ცხენი საბალახოდ. ხელმწიფე კი შევიდა თავის სასახლეში მოსასვენებლად.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფე დიდი ჯარით მოადგა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს საზღვარს და ხარკის გადახდა უბრძანა. ალექსანდრემ უპასუხა, რომ მეორე დღეს ბრძოლის ველზე შეხვედროდნენ. მან თავის ცხენს მოუხმო და დახმარება სთხოვა. მეორე დღეს საომრად გამოწყობილი ალექსანდრე და მისი ჯარი მტრის შესახვედრად გაემართნენ. ალექსანდრემ მოწინააღმდეგე ხელმწიფეს შეუთვალა: „ჩემს ჯარს შენი ჯარიდან მოშორებით დავაყენებ. მე თვითონ ცხენით გეახლები და ნიშანზე დაგიდგები. სამჯერ მესროლე შენი საომარი ისარი. თუ მომარტყამ და მომკლავ, შენ დაგრჩება ჩემი სახელმწიფო. ხოლო თუ შენს სამ სროლას გადავურჩი, მაშინ მეც მომეცი ორჯერ სროლის ნება“.

ხელმწიფემ მიხვდა, რომ რაღაც ეშმაკობა იმალებოდა ალექსანდრეს დანაბარებში, მაგრამ მაინც დათანხმდა ორთაბრძოლას.

როცა შუაკაცებმა გადასცეს მისი პასუხი ალექსანდრე მაკედონელს, მან თავისი ცხენი იხმო და ამ მორიგების ამბავი უთხრა. ნუ გეშინიაო, დააიძედა ცხენმა. მარცხენა ყურში შეუშვა ალექსანი და მარჯვნიდან გამოუშვა. იგი საუკეთესოდ აღჭურვილ მეომრად იქცა: შეჯავშნული ფართო, შუბით, მშვილდ-ისრით შეიარაღებული.

ორთაბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგე ხელმწიფემ სამჯერ ესროლა

ალექსანდრეს მშვილდ-ისარი, მაგრამ ააცდინა. გადარჩენილმა ალექსანდრემ აღმოსავლეთის ხელმწიფე არ დასაჯა და მშვილობით გაისტუმრა. იმ დღიდან ალექსანდრე მაკედონელმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი, მაგრამ კაცის თვალი ვერაფრით გაძლება და მაკედონელსაც აღარ აკმაყოფილებდა, რაც მოიპოვა: სულ მეტ და მეტ ქვეყნებს იმორჩილებდა. სულ მოკლე ხანში ლამის ყველა სახელმწიფო დაიპყრო. მერე როგორც იყო, იფიქრა სახლში მობრუნება. როდესაც გზაში დასასვენებლად შეჩერდა მდინარის ნაპირზე, წყალი მოეწონა და მდინარის სათავის პოვნა ისურვა. რამდენიმე მეომართან ერთად აუყვა მდინარეს და საღამოს ერთ მაღალ სასახლესთან მივიდნენ. სასახლეს ირგვლივ ხმლის პირები ჰქონდა დატანებული და ორმაგი რკინის კარები ჰქონდა. მის კართან მარტო ერთი კაცი იდგა შუბით, რომელმაც ალექსანდრე შიგნით არ შეუშვა. მისმა თვალებმა ისე შეაშინეს ალექსანდრე, რომ კინაღამ ცხენიდან ჩამოვარდა. ცხენიც აკანკალდა. ალექსანდრე მაკედონელმა უკან დაიხია და მხოლოდ ეს ჰკითხა: „ის მაინც მასწავლე, რა გააძღობს კაცის თვალს“. მეკარემ ადამიანის თვალის ბუდე გადმოუგლო და უთხრა: „წაიღე ეს და სასწორზე დადე, მაგისი წონა გააძღობს მხოლოდ კაცის თვალს“.

ალექსანდრემ ჯიბეში ჩაიღო თვალი და წამოვიდა. როცა თავის ბანაკს მიაღწია, სასწორი მოითხოვა და ცალ მხარეს ეს ძვალი დასდო, მეორე მხარეს თავისი მშვილდი. მშვილდმა ძვრაც ვერ უყო იმ პატარა თვალს. ალექსანდრემ თავისი ხმალიც დადო სასწორზე, მაგრამ ვერც ამან გადაწონა. ბოლოს ერთმა მოხუცმა კაცმა აიღო თვალის ბუდე, მიწით გამოტენა და მხოლოდ მიწამ გადაძლია სასწორი. ამის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი გონს მოეგო და სიკვდილამდე მშვიდად და უშფოთველად იცხოვრა.<sup>12</sup>

ალექსანდრეს როგორც რეფორმატორის ხსოვნა ფოლკლორში არ არის შემორჩენილი და მითუმეტეს, კავკასიურ ფოლკლორში არც შეიძლება შემორჩენილიყო. აქ ალექსანდრე მაკედონელი მხატვრული სახეა, რომელიც ლიტერატურული გზით გადავიდა ზეპირ თხრობით ტრადიციაში. ლიტერატურული პერსონაჟიდან ალექსანდრე ზღაპრის გმირად გადაიქცა, ოღონდ ნოველისტური ზღაპრის გმირად.

ამქვეყნიური დიდების მოჩვენებითობა და ამაოება იმ უნივერსალურ რელიგიურ იდეათაგანია, რომელიც არსებობს ქრისტიანობაშიც, იუდაიზმსა და ისლამშიც. ადამიანი არ უნდა ისწრაფვოდეს დიდებისკენ, რამდენადაც მას მა-

<sup>12</sup> Tskhvrebva, M. (transl.). Osuri zyprebi. Tskhinvali. 1974, p. 113 (ოსური ზღაპრები, თარგმნა მ. ცხოვრებოვამ. ცხინვალი, 1974, გვ. 113).



რადიული ნეტარება ელის სიკვდილის შემდგომ – ამ იდეით არის განმსჭვალული თითქმის ყველა ხალხური გადმოცემა ალექსანდრეზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ხალხურ თხრობით ტრადიციაში ალექსანდრე იდეალურ გმირად არ არის წარმოდგენილი. ალექსანდრეს პერსონაჟი იჩენს ტენდენციას, გახდეს იდეალური გმირი, მაგრამ ის მაინც ვერ ხდება იდეალური თავისი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო. ამის მიზეზიც ხალხურ თხრობით ჟანრთა სპეციფიკაა.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ ფოლკლორში ისტორიულ პირთა სახეები, მაგალითად, ჰოლგერ დანსკეს, კრალი მარკოს, მათიას კორვინუსის, ჰარუნ-ალ-რაშიდის, ფრიდრიხ დიდის, ნაპოლეონის – ურთიერთმსგავსია და ერთმანეთის ამბებსაც იმეორებენ.<sup>13</sup> საერთაშორისო სიუჟეტები თავის ისტორიულ განვითარებაში ერთი ჟანრიდან შეიძლება გადავიდნენ მეორეში, მაგალითად, მითოლოგიური გადმოცემიდან – ზღაპარში ან ლეგენდაში. თუმცა სიუჟეტების მონაცვლეობასაც თავისი კანონზომიერება აქვს. ალექსანდრე როგორც ნოველისტური ზღაპრის გმირი სრულებით განსხვავებულია ალექსანდრესგან როგორც ლიტერატურულ გმირისგან: ლიტერატურაში მისი ზღაპრული, ფანტასტიკური თავგადასავლებია აღწერილი, ხალხურ ნოველაში კი ადამიანური ნაკლოვანებები.

ალექსანდრე მაკედონელი ვერ იქცა ჯადოსნური ზღაპრის გმირად, რამდენადაც ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია გმირის მაღალი ზნეობრივი მხარე: ჯადოსნური ზღაპრის ცენტრალური ფიგურა არის ადამიანი. ყოველგვარი მოვლენა და დანარჩენ გმირთა მოქმედება მის ირგვლივ არის განლაგებული და ეს წესი ყველა ჯადოსნურ ზღაპარზე ვრცელდება ზოგადად. ზღაპრის მთავარ გმირს აქვს შესაძლებლობა, თავად წარმართოს თავისი ცხოვრება, ეცადოს, არასრულყოფილი არსებიდან გადაიქცეს სრულყოფილად და ზღაპრის ბოლოს კიდევ მიაღწიოს ამას. თუკი ზღაპრის დასაწყისში გმირი აკრძალვას არღვევს და კარგავს რაიმე მნიშვნელოვანს, იგი ამით საბოლოოდ განწირული კი არ არის, არამედ ხსნა თვით მასზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, ფოლკლორის არცერთ თხრობით ჟანრში არ არის ადამიანის სულიერი სიძლიერე ისე ხაზგასმული, როგორც ჯადოსნურ ზღაპარში. თქმულებისა და ლეგენდის ობიექტი ძირითა-

---

<sup>13</sup> I.Tomkowiak. Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Hainz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München. 2001, p. 155.

დად ისტორიული ფაქტია, ხალხური ნოველისა და ანეკდოტის – სახუმარო ამბავი, რომელშიც ადამიანი ხშირად უდიდესი სარკაზმის მსხვერპლია. ჯადოსნური ზღაპარი კი ადამიანს საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენს. ჯადოსნური ზღაპრის გმირი ფოლკლორის სხვა ჟანრების გმირებთან შედარებით ყველაზე მეტად არის იმ იდეალთან ახლოს, რომელშიც ქრისტიანულ მოძღვრებას შეეძლო ქრისტიანის სახე დაენახა. ამიტომ, ზღაპრებისთვის მიუღებელია მოძღვრება პატივმოყვარეზე, თუნდაც კეთილშობილზე. სწორედ ამ თვისების გამო ალექსანდრე მაკედონელი ვერ გახდა ჯადოსნური ზღაპრის გმირი.

ალექსანდრე მაკედონელის კონტრასტული სახე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი პორტრეტის ლიტერატურული და ფოლკლორული განვითარებისთვის ადამიანის ხასიათის სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე ჩასაფიქრებლად. ლიტერატურული ნაწარმოებები, ელინისტური და შუასაუკუნეების რომანები მეტად მიმზიდველად აღწერენ ბერძენ სარდალს. მოგზაურობა უცხო ქვეყნებში, ბრძოლები უდიდეს მტრებთან, გმირული ბუნება – ყოველივე ეს შუასაუკუნეების რომანს ზედმიწევნით შეესაბამება და ალექსანდრეს თემა ორგანულად ერწყმის მის იდეალებს. ხალხური გადმოცემები კი ალექსანდრე მაკედონელს დადებითზე მეტად უარყოფითი კუთხით ასახავენ. ქართულ ზღაპრებშიც ალექსანდრე ძლიერ მეფედ არის წარმოდგენილი, რომელსაც ცისა და მიწის დაპყრობა სურს, მაგრამ როგორც ყველა მოკვდავს თავისი სისუსტეები აქვს.

*Elene Gogiasvili*

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **HISTORICAL FIGURE OR LITERARY CHARACTER? FOLK NARRATIVES ON ALEXANDER THE GREAT**

### Summary

Georgian folktales about Alexander the Great show literary influences from Antiquity and the Middle Ages, followed by his development as an organic part of national oral folk tradition.

Two traditions of narratives about Alexander of Macedon existed in Antiquity: historical and literary. Legendary material related to the Greek quasi-fabulous prose biography of Alexander is found in the *Alexander Romance* by Pseudo-Callisthenes (c. third century AD). This text is the basis of all the Alexander legends in the Middle Ages. In Europe *Alexander Romance* spread via the Latin translation of Julius Valerius Alexander (third to fourth centuries AD) and won great popularity. The original Greek text was the basis for medieval Persian, Syrian, Coptic, and Ethiopian versions.

Between the fourth and sixteenth centuries, European and Eastern literature (including that of the Christian Orient, the Caucasus area, the Near East, and Central Asia) produced a major cycle of legends about Alexander the Great. The fiction occupies a honorary a place. Historic enterprises are not the main subject in this text.

In Georgian folklore Alexander appears only in the folktales which might be classified as realistic tales (nouvelle). Caucasian folktales about Alexander show miscellaneous interpretations of the hero, perhaps in part also because of the variety of literary and oral traditions which influenced Georgian folklore. The folkloric character of Alexander is far from the ideal of medieval knighthood; his image in the realistic tales and nouvelle is in general less attractive than in the *Alexander Romance*.

The Georgian folktales never depict Alexander thus, like a wonder-tale hero. He appears only in the realistic, non-magical, nouvelle. Wonder tales are marked by the high moral qualities of the hero. They are often tales of individual endeavour, and opportunities to become a moral, even perfect,

human being. Even heroes who break prohibitions early on manage to atone for this: one's salvation then depends on oneself. One could say that none of the narrative genres of folklore stresses the spiritual strength of a human being as much as the wonder tales do.

Alexander the Great is a literary character converted into an insatiable king of the realistic tale. He thus shows generally negative characteristics. In the Georgian tales Alexander is represented as a strong king who wants to conquer the heavens and the earth, but he, as with any mortal, has his own weaknesses, too.